განკარგულება:**g-55.552133747**
თარიღი:**03/12/2021**

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიული კომისიის თავმჯდომარის

არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ.დ“ ქვეპუნქტის, 37-ე მუხლის პირველი პუნქტის, საკრებულოს რეგლამენტის 96-ე, 102-ე მუხლების, ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბრის #7 სხდომის ოქმისა და ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 ივნისის #14 დადგენილების საფუძველზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. არჩეულ იქნას სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარედ მზია სუხიშვილი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 1500 ლარის ოდენობით.
2. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ.სიღნაღი, ც. დადიანის ქ.#15) განკარგულების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

დავითი ჯანიკაშვილი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი